

ფენბექსი 250 (Fenbeks 250)

Fenbendazole

წამლის ფორმა

ტაბლეტი პერორალურად მისაღები, გამოიყენება ვეტერინარიაში

ფარმაკოთერაპიული ჯგუფი: ანტიპარაზიტული, ანტიჰელმინთური საშუალება, Atc vet.code: QP52AC13

სამიზნე სახეობა: მსხვილფეხა და წვრილფეხა პირუტყვი, ცხენი, ვირი, ჯორი, ღორი, ძაღლი, კატა, ფრინველი

შემადგენლობა

ერთი ტაბლეტი შეიცავს: ფენბენდაზოლს 250 მგ

დამხმარე ნივთიერება: სახამებელი კარტოფილის, ლაქტოზა, ტალკი, მაგნიუმის სტეარატი, წითელი საღებავი, პოლივინილპიროლიდონი.

აღწერა: ვარდისფერი ფერის ტაბლეტები, ერთ ზედაპირზე ჭდით, მეორე ზედაპირზე წარწერა „BIO“, შესაძლოა აღენიშნებოდეს ჩანაწინწკლები

გამოშვების ფორმა: №100 ტაბლეტი პოლიეთილენის ფლაკონში

ფარმაკოლოგიური თვისებები

ფენბენდაზოლი წარმოადგენს ბენზიმინდაზოლის ჯგუფის წარმოებულს, მას ახასიათებს ფართო სპექტრის ანტიჰელმინთური მოქმედება, რომელიც იწვევს ნემატოდების, ცესტოდებისა და ზოგიერთი ტრემატოდების სიკვდილს მათი განვითარების ყველა სტადიაზე (კვერცხი, ლარვა, ზრდასრული ფორმა). ანტიჰელმინთური საშუალების მოქმედების მექანიზმი იწვევს პარაზიტის ორგანიზმში ენერგეტიკული ცვლის დარღვევასა და ნაწლავის უჯრედების მიკროარხებში ტუბულინის პოლიმერიზაციის დათრგუნვას, რის გამოც ისინი ილუპებიან და ფეკალიებთან ერთად გამოიდევენება გარემოში.

პრეპარატი ხასიათდება დაბალი ტოქსიკურობით, დოზების მრავალჯერადი გადაჭარბებისას ცხოველებში არ ვლინდება გვერდითი ეფექტები, რაც საშუალებას იძლევა დეჰელმინთიზაცია საჭიროების შემთხვევაში ჩატარდეს დასუსტებულ და მაკე ცხოველებში.

გამოყენების ჩვენებები

მსხვილფეხა პირუტყვის, ცხვრისა და თხის მონიეზიოზის, დიქტიოკაულოზის, ეზოფაგოსტომოზის, ნემატოდიროზის, ოსტერტაგიოზის, ქაბერტიოზის, კოოპერიოზის, სტრონგილატოზის;

ღორის ასკარიდოზის, ეზოფაგოსტომოზის, სტრონგილატოზის, ტრიქოცეფალოზის, მეტასტრონგილოზის;

ცხენის პარასკარიდოზის, სტრონგილატოზის;

ქათმის ასკარიდოზის;

ძაღლისა და კატის ტოქსოკაროზის დროს.

გამოყენების წესი და დოზები

მსხვილფეხა პირუტყვის, ცხვრის, თხის, ცხენის, ვირის, ჯორის, ღორის კუჭ-ნაწლავის და ფილტვის ნემატოდების, ცესტოდების წინააღმდეგ 1ტაბლ/25კგ.ც.წ-ზე; დიკროცელიოზის დროს 1 ტაბლ/12,5კგ ც.წ-ზე.

ფრინველს: 1 ტაბლ/7,5კგ ც.წ-ზე;

ძაღლს, კატას: 1 ტაბლ/5კგ ც.წ.-ზე.

გვერდითი მოვლენები

ფენბექსი ხასიათდება მცირე ტოქსიკურობით. დოზების მრავალჯერადი გადაჭარბებით, ცხვრებს არ აღენიშნება გვერდითი ეფექტები. საშუალებას იძლევა დეჰელმინთიზაცია ჩატარდეს მძიმედ დაავადებულ და დასუსტებულ ცხოველებს.

მკურნალობა უსაფრთხოა მაკე ცხოველებისათვის, მაკეობის ნებისმიერ სტადიაზე.

უკუჩვენებები

უკუჩვენება არ არის დადგენილი.

დაყოვნების პერიოდი

ცხოველთა და ფრინველთა დაკვლა შეიძლება დეჰელმინტიზაციიდან 14 დღის შემდეგ.

აღნიშნულ ვადაზე ადრე ცხოველთა ხორცი შეიძლება გამოყენებული იქნას ხორცისმჭამელი ცხოველების საკვებად ან ძვალ-ხორცის წარმოებაში.

რძე საკვებად გამოიყენება დეჰელმინტიზაციიდან 4 დღის შემდეგ. დეჰელმინტიზაციიდან 3 დღის განმავლობაში რძის გამოყენება შეიძლება ცხოველთა საკვებად.

შენახვის პირობები

პრეპარატი ინახება მშრალ, სინათლისგან დაცულ ადგილას არაუმეტეს 25°C ტემპერატურაზე, ბავშვებისთვის მიუწვდომელ ადგილას.

ვარგისობის ვადა: 3 წელი

მწარმოებელი ქვეყანა: ბიოტექსი, საქართველო